№3- 465 15.11.2019

სურსათის ეროვნული სააგენტოს

უფროსს ბატონ ზურაბ ჩეკურაშვილს

ბატონო ზურაბ,

2019 წლის 15 აგვისტოს წერილით (N.3-388) გაცნობეთ 5 პროდუქტის შესახებ, რომლებშიც, ჩვენი დაკვეთით ჩატარებული ლაბორატორიული კვლევის შედეგად, სუდანის ჯგუფის საღებავები აღმოჩნდა. ესენი იყო:

1. ტყემალი წითელი, კლასიკური, შპს „გსქ კულა", წარმოების თარიღი 08.04.19.

2. ტრადიციული წითელი ტყემალი, შპს მარნეულის სასურსათო ქარხანა, წარმოების თარიღი 21.06.18.

3. ტომატის საწებელი Supremo, შპს ფუდსერვისი, წარმოების თარიღი 04.03.19.

4. ეს აჯიკა, შპს „ეს", წარმოების თარიღი 12.07.19.

5. ჩილი სოუსი ცხარე, შპს Soledo, წარმოების თარიღი 15.03.19.

6. მშრალი აჯიკა, თეთნულდი. წარმოების თარიღი და ფირმის მისამართი არ არის მითითებული. შეძენილია შპს-ში ბემონი, თბილისი, ქავთარაძის 25.

პასუხად მივიღეთ 2019 წლის 27 აგვისტოს წერილი (N. 09/6694), რომლის მიხედვითაც სააგენტომ განახორციელა მითითებული ბიზნესოპერატორების სახელმწიფო კონტროლი. სახელმწიფო კონტროლისას ბიზნესოპერატორებს დაევალათ სურსათის იმ პარტიების ბაზარზე განთავსების აღკვეთა ან უკვე განთავსებულის ამოღება, რომლებშიც სუდანის ჯგუფის საღებავები აღმოჩნდა. მიკვლევადობით დადგინდა ბიზნესოპერატორების რეკვიზიტები, რომლებიც შესაბამისი სურსათის მწარმოებლებს წითელი წიწაკით ამარაგებენ. სუდანის ჯგუფის საღებავების კვლევის მიზნით, სააგენტოს უფლებამოსილმა პირებმა აიღეს წითელი წიწაკის ნიმუშები, რომლებსაც აკრედიტებული ლაბორატორია გამოიკვლევს.

მოგვიანებით, მიმდინარე წლის ოქტომბერში, სეს-ის საიტზე გამოქვეყნდა წითელი წიწაკების 10 ნიმუშის სუდანის ჯგუფის საღებავებზე შემოწმების შედეგები (იხ. დანართი).

გთხოვთ გვაცნობოთ შემდეგი:

1. დანართში მითითებული წითელი წიწაკის რომელი პარტიით მარაგდებოდა ზემოთ ჩამოთვლილი სურსათის თითოეული მწარმოებელი, რომლის პროდუქციაშიც სუდანის ჯგუფის საღებავები აღმოჩნდა.

www.moxmarebeli.ge
მოხმარებელი
საკითხს ამუშებს

2. დღეის მდგომარეობით, კვლავ აკრძალულია, თუ არა ზემოთ ჩამოთვლილი სურსათის პარტიების რეალიზაცია და როდემდე მოქმედებს ეს აკრძალვა?
3. ოფიციალურად მიმართა თუ არა სეს-ს შპს „გსქ კულა"-მ, რათა სეს-ის ზედამხედველობით მომხდარიყო 08.04.19-ში წარმოებული პროდუქტის „ტყემალი წითელი, კლასიკური" ნიმუშის გაგზავნა ლაბორატორიული შემოწმებისათვის.
4. მოხდა თუ არა სეს-ის ზედამხედველობით შპს „გსქ კულა"-ს 08.04.19-ში წარმოებული პროდუქტის „ტყემალი წითელი, კლასიკური" ნიმუშის გაგზავნა ლაბორატორიული შემოწმებისათვის. თუ მოხდა, გთხოვთ გვაცნობოთ შემოწმების შედეგი და მოგვაწოდოთ ლაბორატორიის ოქმი.
5. მოხდა, თუ არა სეს-ის მიერ შპს მარნეულის სასურსათო ქარხნის პროდუქტის „ტრადიციული წითელი ტყემალი" 21.06.18-ში წარმოებული პარტიის ნიმუშების დალუქვა და რომელ რიცხვში?
6. ოფიციალურად მიმართა თუ არა სეს-ს შპს მარნეულის სასურსათო ქარხანამ, რათა სეს-ის ზედამხედველობით მომხდარიყო 21.06.18-ში წარმოებული პროდუქტის „ტრადიციული წითელი ტყემალი" ნიმუშის გაგზავნა ლაბორატორიული შემოწმებისათვის.
7. მოხდა თუ არა სეს-ის ზედამხედველობით შპს მარნეულის სასურსათო ქარხნის 21.06.18-ში წარმოებული პროდუქტის „ტრადიციული წითელი ტყემალი" ნიმუშის გაგზავნა ლაბორატორიული შემოწმებისათვის. თუ მოხდა, გთხოვთ გვაცნობოთ შემოწმების შედეგი და მოგვაწოდოთ ლაბორატორიის ოქმი.

პატივისცემით,

ვახტანგ კობალაძე

პროგრამის კოორდინატორი

დანართი: წითელი წიწაკის კვლევის შედეგები (1 გვ.)